

მოხმარების ინსტრუქცია
ინფორმაცია მოხმარებლისთვის
METFOGAMMA®1000
შემოგარსული ტაბლეტები
მეტფორმინის ჰიდროქლორიდი

მედიკამენტის გამოყენებამდე ყურადღებით გაეცანით მოხმარების ინსტრუქციას.

- შეინახეთ ინსტრუქცია, შესაძლებელია კიდევ დაჭირდეთ მისი წაკითხვა.
- დამატებითი კითხვების შემთხვევაში მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.
- ეს მედიკამენტი თქვენ დაგნიშნათ ინდივიდუალურად. ნუ გადასცემთ მას მესამე პირს, შესაძლებელია პრეპარატმა ზიანი მიაყენოს პაციენტს, იმ შემთხვევაშიც კი თუ მას მსგავსი სიმპტომები ახასიათებს.
- თუ აღნიშნული გვერდითი მოვლენებიდან თქვენზე რომელიმე გამოვლინდება ან ადგილი ექნება ისეთ გვერდით მოვლენას, რომელიც არ არის აღწერილი ინსტრუქციაში, შეატყობინეთ ექიმს ან ფარმაცევტს. იხ. თავი 4

მოხმარების ინსტრუქცია მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

1. რას წარმოადგენს მეთფოგამა 1000მგ და რისთვის გამოიყენება ის?
2. რას უნდა მიაქციოთ ყურადღება მეთფოგამა 1000მგ -ის მიღების წინ?
3. როგორ გამოიყენება მეთფოგამა 1000მგ?
4. რა გვერდითი მოვლენებია მოსალოდნელი?
5. როგორ შევინახოთ მეთფოგამა 1000მგ?
6. დამატებითი ინფორმაცია

1. რას წარმოადგენს მეთფოგამა 1000მგ და რისთვის გამოიყენება ის?

მეთფოგამა 1000მგ შეიცავს მეტფორმინს, ეს ნივთიერება განეკუთვნება ე.წ. ბიგუანიდების ჯგუფს, რომელიც გამოიყენება დიაბეტის სამკურნალოდ.

ინსულინი არის პანკრეასის კუნძულების მიერ გამოყოფილი ჰორმონი, რომელიც უზრუნველყოფს სისხლიდან გლუკოზას გადატანას უჯრედებში. იქ გლუკოზა გადაიქცევა ენერგიად ან შეინახება მარაგის სახით მომდევნო მოხმარებისთვის.

თუ თქვენ დიაბეტი გაქვთ, ამ შემთხვევაში პანკრეასი არ გამოყოფს საკმარისი რაოდენობის ინსულინს ან უჯრედები შესაბამისად არ რეაგირებენ მასზე, რის შედეგადაც სისხლში იმატებს შაქრის დონე. მეთფოგამა 1000მგ შეძლებისდაგვარად არეგულირებს სისხლში შაქრის დონეს.

ჭარბწონიან მოზარდებში რეკომენდებულია მეთფოგამა 1000მგ ხანგრძლივად მიღება, დიაბეტით გამოწვეული გართულებების თავიდან აცილების მიზნით. მეთფოგამა 1000მგ მიღებისას შეიმჩნევა სხეულის წონის რეგულირება.

მეთფოგამა 1000მგ გამოიყენება არაინსულინიზებული დიაბეტით დაზარალებული შაქრიანი დიაბეტის (ტიპი 2) სამკურნალოდ, განსაკუთრებით ჭარბწონიან პაციენტებში, რომლებშიც ვერ ხერხდება სისხლში შაქრის დონის რეგულირება დიეტის ან ფიზიკური დატვირთვის მეშვეობით.

უფროსებში ექიმმა შესაძლოა დანიშნოს მეთფოგამა 1000მგ ცალკე ან სხვა სისხლში შაქრის დამწვევ ორალურად მისაღებ პრეპარატებთან ან ინსულინთან ერთად.

მოზარდებში და 10 წელზე უფროს ბავშვებში ექიმმა შესაძლოა დანიშნოს მეთფოგამა 1000მგ ცალკე ან ინსულინთან ერთად.

2. რას უნდა მიაქციოთ ყურადღება მეთფოგამა 1000მგ-ის მიღებამდე

მეთფოგამა 1000მგ არ უნდა მიიღოთ შემდეგ შემთხვევებში:

- ჰიპერმგრძობელობა მეტფორმინის ჰიდროქლორიდის ან 6-ე თავში მითითებული სხვა შემცველი ნივთიერებების მიმართ
- ღვიძლის პრობლემები
- თირკმელების მწვავე უკმარისობა
- არაკონტროლირებადი დიაბეტი, მაგ.: ჰიპერგლიკემია გულისრევის, ღებინების, დეჰიდრაციის, წონაში მკვეთრი კლების, ლაქტატაციდოზის ან კეტოაციდოზის თანხლებით, კეტოაციდოზის დროს სისხლში გამოიყოფა კეტონური სხეულები, რაც დიაბეტური კომის წინა ეტაპია. ამგვარი მდგომარეობა გამოიხატება შემდეგი სიმპტომებით: კუჭის ტკივილი, გახშირებული და ღრმა სუნთქვა, ძილიანობა და ნაყოფის სუნი სუნთქვისას.
- დეჰიდრაცია, მაგალითად ხანგრძლივი დიარეა ან ღებინება. სითხის დაკარგვამ შეიძლება გამოიწვიოს თირკმელების პრობლემები, რის შედეგადაც შეიძლება განვითარდეს ლაქტატაციდოზი- რემეჟავას მომატება. (იხ. თავი „განსაკუთრებული სიფრთხილე“).
- მწვავე ინფექცია, მაგალითად ფილტვების, ბრონქების ან თირკმელების. მწვავე ინფექციამ შესაძლოა გამოიწვიოს თირკმელების პრობლემა, რაც თავის მხრივ ლაქტატაციდოზის განვითარების რისკს ზრდის. (იხ. თავი „განსაკუთრებული სიფრთხილე“).
- ცოტა ხნის წინ ჩაიტარეთ გულზე მკურნალობა ან გადაიტანეთ ინფარქტი, სისხლის მიმოქცევის პრობლემები ან გართულებული სუნთქვა, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ქსოვილში ჟანგბადის ნაკლებობა, რაც თავის მხრივ ლაქტატაციდოზის განვითარების რისკს ზრდის. (იხ. თავი „განსაკუთრებული სიფრთხილე“).
- თუ იღებთ ჭარბი რაოდენობით ალკოჰოლს.
თუ ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან რომელიმე თქვენ გეხებათ, პრეპარატის მიღებამდე კონსულტაცია გაიარეთ ექიმთან.

დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს თუ:

- გეგმავეთ რენტგენის გადაღებას ან სხვა მსგავსი გამოკვლევის ჩატარებას, რომელიც საჭიროებს იოდის შემცველი კონტრასტული საშუალების გაკეთებას.
- გეგმავეთ რაიმე ოპერაციას. ოპერაციის დროს და ოპერაციის შემდგომ პერიოდშიც უნდა შეწყვიტოთ მეთფოგამის მიღება. ექიმი დაგირეგულირებთ მკურნალობის დასრულებას და გაგრძელებას.

განსაკუთრებული სიფრთხილე

ლაქტატაციდოზის განვითარების რისკი:

თირკმელების პრობლემების მქონე პაციენტებში მეთფოგამა 1000მგ მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს იშვიათი მაგრამ მძიმე გართულება, როგორცაა ლაქტატაციდოზი. ლაქტატაციდოზი შეიძლება განვითარდეს აგრეთვე დიაბეტის არასწორი მკურნალობის, ხანგრძლივი მარხვის ან ალკოჰოლის მოხმარების, მძიმე დიარეას ან ღებინების შედეგად გამოწვეული დეჰიდრაციის, ღვიძლის პრობლემების და იმ სამედიცინო სიტუაციების შედეგად, რომლის დროსაც სხეული ნაკლებ ჟანგბადს იღებს (მაგ. გულის მწვავე უკმარისობა). მსგავსი სიმპტომების შემჩნევას და დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს.

თუ ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან რომელიმე თქვენ გეხებათ, პრეპარატის მიღებამდე კონსულტაცია გაიარეთ ექიმთან.

მოკლე დროით შეწყვეტეთ პრეპარატის მიღება ისეთი სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში, რაც იწვევს დეჰიდრაციას, მაგალითად როგორცაა დიარეა, ღებინება, მაღალი ტემპერატურა, სიცხე ან უჩვეულოდ ნაკლები რაოდენობის სითხის მიღება.

რეკომენდაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

რადგან ლაქტაციდოზი იწვევს კომას, მისი სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეწყვეტეთ მეთფოგამა 1000მგ მიღება და მიმართეთ ახლომდებარე საავადმყოფოს.

ლაქტაციდოზის სიმპტომებია:

- ღებინება
- მუცლის ტკივილი
- კრუნჩხვა
- საერთო სისუსტე
- გამწვანებული სუნთქვა
- სხეულის დაბალი ტემპერატურა და გულის ამოვარდნა

ლაქტაციდოზი არის სამედიცინო საგანგებო მდგომარეობა და მოითხოვს ამბულატორიულ მკურნალობას.

მეთფოგამა 1000მგ-ის დამოუკიდებლად მიღება არ იწვევს ჰიპოგლიკემიას. მაგრამ თუ თქვენ ამ პრეპარატს დიაბეტის სამკურნალო სხვა პრეპარატებთან ერთად იღებთ (სულფანილმარდოვანა, ინსულინი, გლინიდები), წარმოიქმნება ჰიპერგლიკემიის რისკი. ჰიპერგლიკემია ვლინდება ისეთი სიმპტომებით, როგორცაა სისუსტე, ოფლიანობა, ტაქიკარდია, მხედველობის დაქვეითება, კონცენტრაციის დაქვეითება, ასეთ შემთხვევაში უნდა მიიღოთ შაქრის შემცველი საკვები ან სასმელი.

ამ პრეპარატით მკურნალობისას მინიმუმ წელიწადში ერთხელ, ხანდაზმულ ან თირკმელების უკმარისობის მქონე პაციენტებში უფრო ხშირად - შემოწმეთ თირკმელების ფუნქცია.

მეთფოგამა 1000მგ მიღება სხვა პრეპარატებთან ერთად

თუ გეგმავთ რენტგენის გადაღებას ან სხვა მსგავსი გამოკვლევის ჩატარებას, რომელიც საჭიროებს იოდის შემცველი კონტრასტული საშუალების გაკეთებას, მეთფოგამა 1000მგ მიღება უნდა შეწყვეტოთ გარკვეული პერიოდით ანალიზის გაკეთებამდე და მის შემდეგ, ექიმი დაგირეგულირებთ მკურნალობის შეწყვეტას და გაგრძელებას.

აგნობეთ ექიმს მეთფოგამა 1000მგ პარალელურად თუ იღებთ/იღებდით ან აპირებთ მიიღოთ სხვა პრეპარატებიც. ასეთ შემთხვევაში შეიძლება უფრო ხშირად დაგჭირდეთ შაქრის შემცველობის გაზომვა და თირკმელების ფუნქციის კონტროლი ან ექიმი შეგიჩვენებთ შესაბამის დოზას. მნიშვნელოვანია თუ იღებთ ისეთ პრეპარატებს, როგორცაა:

- დიურეტიკა (შარდმდენი პრეპარატები)
- ტკივილგამაყუჩებელი და ანთების საწინააღმდეგო საშუალებები (არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალებები და ცოგ-2-ინჰიბიტორი, როგორცაა იბუპროფენი და ცელეკოქსიბი)
- არტერიული წნევის სამკურნალო პრეპარატები (აცე-ინჰიბიტორები და ანგიოტენზინ II -ის რეცეპტორის ბლოკერები)
- ბეტა-2-აგონისტები როგორცაა სალბუტამოლი ან ტერბუტალინი (ასთმის სამკურნალო საშუალებები)
- კორტიკოსტეროიდები (ასთმის ან კანის ანთების სამკურნალო საშუალება)
- დიაბეტის სამკურნალო სხვა საშუალებები

მეთფოგამა 1000მგ მიღება საკვებ და სასმელ პროდუქტებთან ერთად

მეთფოგამას მიღება ალკოჰოლთან ერთად:

მეთფოგამას მიღების დროს უნდა მოერიდოთ ალკოჰოლის მიღებას. ჭარბი ალკოჰოლი ამძიერებს ლაქტაციდოზის რისკს (იხ. თავი „განსაკუთრებული სიფრთხილე“).

ორსულობა და ლაქტაცია

დიაბეტით დაავადებულმა პაციენტმა, რომელიც გეგმავს ორსულობას ან არის ორსულად, ამ პრეპარატის მიღებამდე კონსულტაცია უნდა გაიაროს ექიმთან. ორსულობის პერიოდში დიაბეტის სამკურნალოდ გამოიყენეთ ინსულინი.

ამ მედიკამენტის მიღება ლაქტაციის პერიოდში არ არის რეკომენდებული.

მართვა და დანადგარების გამოყენება

მეთფოგამა არ იწვევს სისხლში შაქრის დონის შემცირებას (ჰიპოგლიკემიას) და შესაბამისად არ ახდენს ზეგავლენას ავტომობილისა და დანადგარების მართვის უნარზე.

შაქრის დამწვევ სხვა პრეპარატებთან კომბინირებული გამოყენებისას (როგორცაა მაგ.: სულფონილმარდოვანა, ინსულინი, გლინიდი) შესაძლოა სისხლში შაქრის დონის შემცირების გამო ისეთი სიმპტომების გამოვლენა, როგორცაა სისუსტე, ოფლიანობა, მხედველობის და კონცენტრაციის დაქვეითება, აქედან გამომდინარე არ არის რეკომენდებული ასეთ შემთხვევაში ავტომობილის ან დანადგარების მართვა.

3. მეთფოგამა 1000მგ-ის მიღების წესი

მიიღეთ პრეპარატი ექიმის ან ფარმაცევტის დანიშნულებისამებრ. დამატებითი კითხვებისთვის მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

მეთფოგამა ვერ შეგიცვლით ჯანსაღი ცხოვრების წესს. მიიღეთ საკვები ექიმის რეკომენდაციით და იმოდრავით რეგულარულად.

რეკომენდებული დოზა

დოზირება უფროსებისთვის

რეკომენდებული საწყისი დოზა შეადგენს 500მგ (ანუ მეთფოგამა 1000მგ-ის ½ ტაბლეტი) ან 850 მგ მეტფორმინის ჰიდროქლორიდი დღეში ორჯერ ან სამჯერ.მაქსიმალური დოზა შეადგენს დღეში 3000მგ. განაწილებული სამ მიღებაზე.

დოზირება 10 წლის ზემოთ ბავშვებში და მოზარდებში

მკურნალობა იწყება როგორც წესი 500მგ (ანუ მეთფოგამა 1000მგ-ის ½ ტაბლეტი) ან 850 მგ მეტფორმინის ჰიდროქლორიდი დღეში ერთხელ.

მაქსიმალური დოზა შეადგენს დღეში 2000მგ (ანუ მეთფოგამა 1000მგ-ის 2X1 ტაბლეტი), განაწილებული ორ ან სამ მიღებაზე. 10-12 წლის ასაკის ბავშვების მკურნალობისას რეკომენდებულია ექიმთან კონსულტაცია, რადგან ამ ასაკის ბავშვებში კვლევა შეზღუდული რაოდენობით არის ჩატარებული.

პაციენტებში, რომლებსაც აქვთ თირკმელების უკმარისობა, საწყისი დოზა მინიმალურია.

თუ თქვენ გარდა ამისა ინსულინს იღებთ, ჰკითხეთ ექიმს როგორ დაიწყოთ მეთფოგამას ტაბლეტებით მკურნალობა.

კონტროლი

- ექიმის მიერ რეგულარულად უნდა ჩატარდეს შაქრის ანალიზი და შაქრის შემცველობის დონის მიხედვით შეირჩეს დოზა. ექიმის მეთვალყურეობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვებისთვის, მოზარდებისთვის და ხანდაზმული პაციენტებისთვის.
- ექიმი წელიწადში ერთხელ მაინც გააკონტროლებს თირკმელების ფუნქციას. ხანდაზმულ პაციენტებს და იმ პაციენტებს, რომელთაც აქვთ თირკმელების ფუნქციის დარღვევა, შედარებით ხშირად ჩაუტარდებათ გამოკვლევები.

მეთფოგამა 1000მგ მიღების წესი

მიიღეთ პრეპარატი ჭამის წინ ან შემდეგ. ამით თქვენ აიცილებთ საჭმლის მომნელებელ სისტემასთან დაკავშირებულ გართულებებს. არ დალეკოთ ან დაფშხნათ ტაბლეტი. გადაყლაპეთ ტაბლეტი და მიაყოლეთ ერთი ჭიქა წყალი.

- მიიღეთ პრეპარატი დილით (საუზმეზე), თუ თქვენი დღიური დოზა ერთს შეადგენს
- მიიღეთ პრეპარატი დილით (საუზმეზე) და საღამოს (ვახშამზე), თუ თქვენი დღიური დოზა ორს შეადგენს
- მიიღეთ პრეპარატი დილით (საუზმეზე), შუადღეზე (სადილზე) და საღამოს (ვახშამზე), თუ თქვენი დღიური დოზა სამს შეადგენს.

ტაბლეტი იყოფა ორ თანაბარ დოზად.

გარკვეული პერიოდის შემდეგ თუ შეამჩნევთ, რომ პრეპარატი თქვენზე სუსტად ან ძლიერად მოქმედებს, მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

ჭარბი დოზა

ჭარბი დოზის მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს ლაქტატაციდოზი. ლაქტატაციდოზს ახასიათებს ისეთი არასპეციფიკური სიმპტომები, როგორიცაა ლებინება, მუცლის ტკივილი, კრუნჩხვა, საერთო სისუსტე, გამწვანებული სუნქვა, აგრეთვე დაბალი ტემპერატურა და ბრადიკარდია.

მსგავსი სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში შეწყვიტეთ პრეპარატის მიღება და დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს, რადგან ლაქტატაციდოზი იწვევს კომას. შეწყვიტეთ პრეპარატის მიღება და მიმართეთ ექიმს ან ახლომდებარე საავადმყოფოს.

თუ დაგავიწყდათ პრეპარატის მიღება

თუ დაგავიწყდათ მეთფოგამას დოზის მიღება, მიიღეთ ის რეჟიმის მიხედვით მომდევნო ტაბლეტის მიღების დროს. არ მიიღოთ ორმაგი დოზა.

მკურნალობის შეწყვეტა

თვითნებურად მკურნალობის შეწყვეტამ შეიძლება გამოიწვიოს ჰიპერგლიკემია, რაც წარმოშობს მხედველობის, თირკმელების და სისხლძარღვთა პრობლემების რისკს.

დამატებითი კითხვებისთვის მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

4. რა გვერდითი მოვლენებია მოსალოდნელი?

როგორც ყველა წამალს, ამასაც გააჩნია გვერდითი მოვლენები, რომელიც არ მუდავდება ყველა პაციენტის შემთხვევაში.

აღნიშნული პრეპარატით მკურნალობისას შეიძლება გამოვლინდეს ძალიან იშვიათად (10,000-დან 1 პაციენტში) თუმცა ძალიან მძიმე გვერდითი მოვლენა, როგორიცაა ლაქტატაციდოზი (იხ. თავი „განსაკუთრებული სიფრთხილე“). გამოვლენის შემთხვევაში დაასრულეთ მკურნალობა და დაუყოვნებლივ მიმართეთ ახლომდებარე საავადმყოფოს, რადგან ლაქტატაციდოზი იწვევს კომას.

ძალიან ხშირად გამოვლენილი გვერდითი მოვლენები (10-დან 1 პაციენტში)

- კუჭ-ნაწლავის პრობლემები, როგორიცაა ლებინება, გულისრევა, დიარეა, მუცლის ტკივილი, მადის დაკარგვა. ჩვეულებრივ ეს რეაქციები ვლინდება მკურნალობის დასაწყისში, დღიური დოზის დღის განმავლობაში გადანაწილება და ჭამის შემდეგ მიღება აგარიდებთ ამგვარ პრობლემებს. თუ ჩივილები გაგრძელდა მიმართეთ ექიმს.

ხშირად გამოვლენილი გვერდითი მოვლენები (10-დან 1-მდე პაციენტში)

- გემოს შეგრძნების დაქვეითება
- ძალიან იშვიათად გამოვლენილი გვერდითი მოვლენები (10,000-დან 1 პაციენტში)**
- ღვიძლის ფუნქციონალური ტესტის დარღვევები ან ღვიძლის ანთება (ჰეპატიტი) (მადის დაქვეითება, წონაში კლება, სიყვითლე).
- მსგავსი სიმპტომების შემჩნევსას შეწყვიტეთ პრეპარატის მიღება და მიმართეთ ექიმს.
- კანის რეაქციები, როგორიცაა სიწითლე, ქავილი და ჭიჭრის ციება.
- B12-ის დაბალი კონცენტრაცია სისხლში

ბავშვებში და მოზარდებში

გამოვლენილი გვერდითი რეაქციების შესახებ არსებობს მხოლოდ შეზღუდული მონაცემები. გვერდითი ეფექტების სიხშირე, სახეობა და სირთულე უფროსებში გამოვლენილი რეაქციების ანალოგიურია.

გვერდითი მოვლენების შესახებ შეტყობინება

გვერდითი მოვლენების შემჩნევის შემთხვევაში მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

ექიმს მიმართეთ აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, თუ შეამჩნევთ ისეთ სიმპტომებს, რაც ანოტაციაში არ არის მითითებული. გვერდითი მოვლენების შესახებ შეგიძლიათ განაცხადოთ გააკეთოთ მედიკამენტებისა და სამედიცინო პროდუქტის ფედერალურ სამსახურში

ფარმაკოვიგილანცის განყოფილება,

კურტ-გეორგ-კისინგერის ხეივანი 3,

53175 ბონი, გერმანია,

ვებგვერდი: www.bfarm.de

ამით თქვენ დაეხმარებით გვერდითი მოვლენების შესახებ მეტი ინფორმაციის მოძიებას.

5. მეტფოგამა 850მგ შენახვის პირობები

შეინახეთ პრეპარატი ბავშვებისგან დაცულ ადგილას.

თუ აღნიშნული პრეპარატი დაენიშნა ბავშვს, მშობელმა ან აღმზრდელმა უნდა გააკონტროლოს პრეპარატის მიღების რეჟიმი.

პრეპარატი არ მოითხოვს შენახვის განსაკუთრებულ პირობებს.

არ გამოიყენოთ პრეპარატი შეფუთვაზე მითითებული ვადის გასვლის შემდეგ. პრეპარატი ვარგისია მითითებული თვის ბოლო დღემდე. არ მიიღოთ პრეპარატი, თუ მას გარეგნული ნაკლი აქვს.

არ გადაადგოთ პრეპარატი საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან. პრეპარატის უტილიზაციის შესახებ იკითხეთ ექიმთან ან ფარმაცევტთან. ამით თქვენ ხელს შეუწყობთ გარემოს დაცვას.

6. შეფუთვის შიგთავსი და დამატებითი ინფორმაცია

რას შეიცავს მეთფოგამა 1000მგ:

- აქტიური ნივთიერება: მეტფორმინის ჰიდროქლორიდი. 1 შემოგარსული ტაბლეტი შეიცავს 1000მგ მეტფორმინის ჰიდროქლორიდს, რაც შეესაბამება 780მგ მეტფორმინს.
- დამხმარე ნივთიერებებია: ჰიპრომელოზა, პოვიდონი K25, მაგნიუმის სტეარატი, მაკროგოლი 6000, ტიტანის დიოქსიდი (E171).

მეთფოგამა 1000მგ გარეგნული სახე და შეფუთვის შიგთავსი:

მოგრძო თეთრი აპკიანი გარსით დაფარული ტაბლეტი ერთ მხარეს ტეხილით (snap-tab) მეორე მხარეს ჭრილით.

შეფუთვა შეიცავს 15, 30, 60, 120, 180 და 600 (20X30) შემოგარსულ ტაბლეტს. ყველა შეფუთვა არ არის რეალიზაციაში.

ფარმაცევტული კომპანია

ლიცენზიის მფლობელი

შპს ვიორვაგ ფარმა Wörwag Pharma GmbH & Co.KG

კალვერშტრასე 7, 71034 ბიობლინგენი, გერმანია

ტელ.: 07031-6204-0, ფაქსი: 07031-6204-31, ელ.ფოსტა: info@woerwagpharma.com

თანარეალიზატორი

შპს ააა-ფარმა AAA-Pharma GmbH

კალვერშტრასე 7, 71034 ბიობლინგენი,

ტელ.: 0800/00 04 433, ფაქსი: 0800/00 04 434, ელ.ფოსტა: info@aaa-pharma.de

მწარმოებელი:

შპს დრაგენოფარმ აპოთეკერ პიუსლ Dragenopharm Apotheker Püschl GmbH

გიოლშტრ. 1, 84529 ტიტმონინგ, გერმანია

ან

მედის ინტერნეიშენალ MEDIS INTERNATIONAL

პრუმისლოვა 961/16, 747 23 ბოლატისი, ჩეხეთის რესპუბლიკა

ან შპს ვიორვაგ ფარმა Wörwag Pharma GmbH & Co.KG

კალვერ შტრასე 7, 71034 ბიობლინგენი, გერმანია

ეს პრეპარატი ეკონომიკური ზონის ევროპის წევრ ქვეყნებში ცნობილია შემდეგი სახელწოდებით:

ჩეხეთი	მეთფოგამა 1000მგ შემოგარსული ტაბლეტი
ესტონეთი	მეთფოგამა 1000მგ
უნგრეთი	მეთფოგამა 1000მგ შემოგარსული ტაბლეტი
ლიტვა	მეთფოგამა 1000მგ შემოგარსული ტაბლეტი
ლატვია	მეთფოგამა 1000მგ შემოგარსული ტაბლეტი
პოლონეთი	მეთფოგამა 1000მგ
სლოვაკეთი	მეთფოგამა 1000
სლოვენია	მეთფოგამა 1000მგ

წინამდებარე ანოტაცია უკანასკნელად შესწორდა 2017 წლის იანვარში

შპს ვიორვაგ ფარმა Wörwag Pharma GmbH & Co.KG

კალვერ შტრასე 7, 71034 ბიობლინგენი

VNr. 33-0117-00 / 601326

205X297 მმ/ 8pt/PC1804/LC

11300058 MI-04